ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6079867

ნომერი: AR1916088

თარიღი : 05.08.2022

გაცემის თარიღი : 17.08.2022

გაცნობის თარიღი : 17.08.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N6გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აპოლონ არდაშელია პ/ნ 62001004754
- სოხუმი ტრაფშის ქ. N 46

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი –ვაკე , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N6გ- ში, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის დამხმარე შენობა ნაგებობის (ვიზიტორთა მოსაცდელი) მშენებლობის განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (საკადასტრო კოდი N 01.14.05.008.330, რეგისტრაციის N 882022560676, თარიღი 03/08/2022 და ასევე ესკიზური ნახაზები და საპროექტო ფოტომონტაჟი; მინდობილობა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი –ვაკე , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N6გ- ში, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის დამხმარე შენობა ნაგებობის (ვიზიტორთა მოსაცდელი) მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ :

-მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

1. საკადასტრო საზღვრიდან 3 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორების შენთხვევაში სამეზობლო მიჯნის მხარეს დაუშვებელია კედელში ხვრეტების მოწყობა (კარის,ფანჯრის, ფრამუგის და შესაძლებელია მინაბლოკის მოწყობა);
2. სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე,მომიჯნავე მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/ მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექის მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში;
3. სამეზობლო მიჯნის მხარეს, საკადასტრო საზღვრიდან შენობის კიდემდე 5 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორებისას, სამშენებლო მასალად გამოყენებული უნდა იქნას ცეცხლგამძლე–არაწვადი მასალა ან მისი ზედაპირი დამუშავებული უნდა იქნას ცეცხლგამძლე ხსნარით;

–ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის მშენებლობს საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან;

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.